სტატია ახდენს საქართველოს კონკურენციის და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ ციფრულ ბაზრებთან/კონკურენციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების იდეინტიფიკაციას, სისტემატიზაციას და აღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე სააგენტოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიმოხილვას. სტატიის შესავალში ხაზგასმულია თანამედროვე კონკურენციის სამართლის მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც გულისხმობს, რომ კონკურენციის სამართალი არ არსებობს ეპოქისა და კონტექსტისაგან დამოუკიდებლად და მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის სამართალი და მისი აღსრულების მექანიზმები ეფექტიანად ფუნქციონირებდეს თანამედროვე ციფრული ეკონომიკის პირობებში. ამის შემდეგ, სტატია ახდენს ციფრული ეკონომიკის დეფინიციას და აღწერს მის ორ მნიშვნელოვან მახასიათებელს: (დიდ) მონაცემებს და ციფრულ პლატფორმებს. შემდეგ ნახსენებია რამდენიმე თეორიული პრობლემა, რამაც შესაძლოა შეაფერხოს კონკურენციის სამართლის ეფექტიანი აღსრულება მსგავს ეკონომიკურ აგენტებთან/ბაზრებთან მიმართებით.

სტატიის ძირითადი ნაწილი შეეხება, ონლაინ ბაზრებზე თუ ციფრულ პლატფორმებთან მიმართებით, კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმოხილვას. ვინაიდან ჯერჯერობით არ არსებობს ციფრულ ეპოქაში კონკურენციის სამართლის ეფექტიანად აღსრულებისათვის საჭირო სპეციალური საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმები, კონკურენციის სააგენტო მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად კონკურენციის სამართლის მარეგულირებელი ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოთი ხელმძღვანელობს. გადაწყვეტილებების ანალიზმა ცხადყო, რომ სააგენტოს პრაქტიკა მხოლოდ ორი: (I) არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და (II) კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების მიმართულებით ვითარდება და ამ დროისათვის არ არსებობს, მაგალითად, სააგენტოს გადაწყვეტილება ციფრული პლატფორმების მიერ, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, კონკურენციის სამართალი, ციფრული, ეკონომიკა, ვირტუალური

## შესავალი

ციფრული და ონლაინ ტექნოლოგიების/სერვისების განვითარებასთან ერთად, მონაცემებზე დაფუძნებულმა ფინანსურმა ტრანზაქციებმა თანდათან რეალური სივრციდან ვირტუალურში გადაინაცვლა. შესაბამისად, ვირტუალური გახდა კონკურენციაც ეკონომიკურ აგენტებს შორის. კონკურენციის სამართლის განვითარება და აღსრულება, ისტორიულად, ტრადიციულ ბაზრებთან მიმართებით ჩამოყალიბდა, თუმცა ახალი ტექნოლოგიური რეალობის გათვალისწინებით, კონკურენციის სამართალსა და მის აღმასრულებელ ორგანოებს, სამართლისა და საჯარო მმართველობის ბევრი სხვა მიმართულების მსგავსად, უნევთ ვირტუალურ რეალობასთან ადაპტაცია, რათა კონკურენციის სამართალი არ ჩამორჩეს დროს და უზრუნველყოფილ იქნეს მისი ეფექტიანი აღსრულება.

აღნიშნული გამოწვევის წინაშე დგას ქართული კონკურენციის სამართალიც და მისი აღმასრულებელი მთავარი ორგანო – საქართველოს კონკურენციის და მომხმარებელთა დაცვის სააგენტოც (შემდგომში – კონკურენციის სააგენტო, სააგენტო), რომელიც კონკურენციის აღმასრულებელ ევროპულ თუ ამერიკულ ინსტიტუციებთან შედარებით ახალგაზრდა ორგანიზაციაა და ციფრული ეპოქის გამოწვევებზე საპასუხოდ აქვს შედარებით შეზღუდული საკანონმდებლო, ტექნიკური თუ ადამიანური რესურსები. მიუხედავად ზემოთქმულია, კონკურენციის სააგენტოს მისიაა, წარმატებით უპასუხოს აღნიშნულ გამოწვევებს, რათა, ერთი მხრივ, არ დაზარალებდნენ ქართველი მომხმარებლები და სხვადასხვა ბაზრებმა (ტრადიციულმა, ვირტუალურმა თუ შერეულმა) განაგრძონ კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად ფუნქციონირება, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოს იმ არაპირდაპირი ფუნქციის შესრულება, რაც მას ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების კონტექსტში აქვს და რაც გულისხმობს ქართული კონკურენციის სამართლის ევროკავშირის სამართლის შესაბამისად განვითარებას, იქნება ეს კანონმდებლობის ჰარმონიზება თუ ევროპული სასამართლოების პრაქტიკის გათვალისწინება. აღნიშნული ბუნებრივია, შეეხება ციფრულ კონკურენციასაც, რაც ევროკავშირის

კონკურენციის სამართლისთვისაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტატიის მიზანია, მოახდინოს ციფრული კონკურენციის საკითხებზე კონკურენციის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იდენტიფიცირება, სისტემატიზაცია და ანალიზი. კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნება სამართლის კვლევის ტრადიციული (დოკუმატური) მეთოდი, რაც გულისხმობს კანონმდებლობის, კანონქვემდებარე აქტების, კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების თუ შესაბამისი აკადემიური ლიტერატურის დამუშავებას.

სტატიის მომდევნო ნაწილი დაეთმობა ციფრული ეკონომიკის დეფინიციას და, განსაკუთრებით, შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორებს – მონაცემებსა და ონლაინ პლატფორმებს. შემდეგ განხილული იქნება ის შინაარსობრივი თუ სააღსრულებო საკითხები, რომლებმაც შესაძლოა შეაფერხოს კონკურენციის სამართლის მიერ ციფრული ეკონომიკის ეფექტიანი რეგულირება. სტატის მეოთხე თავი მიმოიხილავს ციფრულ ბაზრებთან მიმართებით საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს, ხოლო მეხუთე თავი დაეთმობა კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილებების ანალიზს. სტატიის ბოლოს შეჯამდება განხილული საკითხები.

## 1. ციფრული ეკონომიკა – ბიზნეს მოდელები და სხვა მახასიათებლები

ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, ეკონომიკური აგენტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა ახალი საშუალებები თუ ბიზნეს მოდელები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რესურსების დაზოგვის, კონკურენტული უპირატესობის თუ საბაზრო ძალაუფლების მოპოვების, ან/და მომხმარებლებისათვის/ბაზრისთვის ღირებულების შექმნის მიზნით. სტატიის ამ ნაწილში შემოთავაზებული იქნება ციფრული ეკონომიკის დეფინიცია, ასევე, განხილული იქნება მისი ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი: 1. მონაცემებზე დაფუძნებული ეკონომიკური საქმიანობა და 2. ციფრული პლატფორმები.

სწორედ ციფრული ეკონომიკის უნიკალურმა მახასიათებლებმა გამოიწვია კონკურენციის ახალი ფორმების განვითარება, რამაც, თავის მხრივ, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა კონკურენციის სამართლის ეფექტიანი აღსრულება.

ციფრული ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკურ აქტივობას, რომელიც ნაწარმოებია სრულად ან მნიშვნელოვნად ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით და ბიზნეს მოდელი ეფუძნება ციფრულ პროდუქტებს ან სერვისებს.<sup>1</sup> ციფრული ეკონომიკა, როგორც წესი, ფუნქციონირებს ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორებიცაა: ინტერნეტი, ღრუბლოვანი ტექნოლოგიები, ჭკვიანი ალგორითმები და ა.შ. ციფრული ეკონომიკის აღსანიშნავად ზოგჯერ, ასევე, გამოიყენება ტერმინები „ინფორმაციის ეკონომიკა“ ან „ინტერნეტის ეკონომიკა“. ხანდახან რთულია გამიჯვნა ტრადიციულ ეკონომიკასა და ციფრულ პროდუქციას/სერვისებს შორის, რადგანაც ბიზნეს მოდელი ორივეს აერთიანებს და ამგვარ შემთხვევებს ზოგჯერ „შერეული ეკონომიკის“ სახელითაც მოიხსენიებენ. ტექნოლოგიების და კომპიუტერული სიმძლავრეების განვითარებასთან ერთად სწრაფად ვითარდება ახალი ციფრული პროდუქტები თუ სერვისები, შესაბამისად, შეუძლებელია ციფრული ეკონომიკის მამოძრავებელი ყველა მახასიათებლის წარმოჩენა, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ორი მახასიათებელი: (დიდი) მონაცემები და ციფრული პლატფორმები.

## 1.1 (დიდი) მონაცემები

ციფრულ ეკონომიკაში კომპანიების ბიზნეს მოდელი ხშირად ეფუძნება ეკონომიკური აგენტების მხრიდან მონაცემების მოპოვებას და დამუშავებას. აღნიშნული შეიძლება იყოს როგორც ინდივიდების პირადი (პერსონალური) მონაცემები, ასევე, ნებისმიერი სხვა სახის მონაცემი. მოცულობის და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით, საქმე შეიძლება გვექონდეს ე.წ. „დიდი მონაცემებთან“ ან, როგორ-

ც ზოგჯერ მას უწოდებენ, „დიდი მონაცემების ანალიტიკასთან“. კომპანიები აგროვებენ, ამუშავებენ და აანალიზებენ მონაცემთა დიდ ნაკრებებს, რათა მიიღონ ინფორმაცია, ოპტიმიზაცია გაუწიონ პროცესებს და მონაცემების საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილებები. მონაცემებზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელები მოიცავს სხვადასხვა ინდუსტრიებს, მათ შორის: ტექნოლოგიას, ფინანსებს, ჯანდაცვას და საცალო ვაჭრობას. კომპანიებს, რომლებსაც აქვთ წვდომა მონაცემთა უზარმაზარ ნაკრებებზე, შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა და შექმნან „მონაცემთა მონოპოლიები“. მონაცემების მხრივ ამგვარი უპირატესობის ქონამ, აგრეთვე, ამგვარი მონაცემების დიდი ნაკრების შექმნისა და დამუშავების მაღალმა ღირებულებამ შეიძლება მცირე კონკურენტებისათვის შექმნას ბარიერები შესაბამის ბაზრებზე შესასვლელად, რამაც, საბოლოო ჯამში, შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს კონკურენციაზე, ინოვაციაზე და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე.

## 1.2 ციფრული პლატფორმები

ციფრული პლატფორმები არის ონლაინ ეკოსისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ მომხმარებელთა შორის ურთიერთქმედებას და ტრანზაქციებს. ეს პლატფორმები, როგორც წესი, გვთავაზობენ სხვადასხვა სერვისებს, როგორიცაა: საძიებო სისტემები (Google), სოციალური ქსელები (Facebook), ელექტრონული კომერცია (Amazon) და აპლიკაციების მაღაზიები (Apple). მსგავსი პლატფორმები, როგორც წესი, ქმნიან ე.წ. „ორმხრივ ბაზრებს“ (Two-sided Market), სადაც, მაგალითად, სერვისის მიმწოდებელ კომპანიებს (ერთი ბაზარი) აკავშირებენ საბოლოო მომხმარებლებთან (მეორე ბაზარი). აღნიშნული მოდელი დაფუძნებულია ე.წ. „ქსელის ეფექტებზე“, რაც გულისხმობს იმას, რომ პლატფორმის ღირებულება იზრდება, როცა მეტი მომხმარებელი უერთდება ორივე ბაზარს. მაგალითად, ერთი მხრივ, პლატფორმაზე საბოლოო მომხმარებლების რაოდენობის ზრდა უფრო მიმზიდველს ხდის აღნიშნული პლატფორმის გამოყენებას სერვისის მიმწოდებელი კომპანიებისთვის. მეორე მხრივ, სერვისის მიმწოდებელი კომპა-

1 Bukht, Rumana, & Heeks, Richard. (2017, August 3). Defining, Conceptualising, and Measuring the Digital Economy. Development Informatics Working Paper no. 68. p.13 Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3431732> or <http://dx.doi.org/10.2139/ssrn.3431732>

ნიების დიდი რაოდენობა, როგორც წესი, ზრდის კონკურენციას, ამალღებს ხარისხს და საბოლოო მომხმარებლებს სთავაზობს უკეთეს არჩევანს სასურველი პროდუქციის/სერვისის მისაღებად. მსგავსი პლატფორმები, როგორც წესი, ასევე იყენებენ წინა ქვეთავში განხილულ პირად თუ დიდ მონაცემებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, შეისწავლონ მომხმარებელთა ქცევა და განახორციელონ ზუსტი და მორგებული (პერსონალიზებული) შეთავაზებები. მიუხედავად მნიშვნელოვანი ღირებულების შექმნისა, ონლაინ პლატფორმები ქმნიან რისკებს კონკურენციის და მომხმარებელთა კეთილდღეობის კუთხით, რაც შეიძლება მოიცავდეს ვერტიკალურ ინტეგრაციას და საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას, საბოლოო მომხმარებლისთვის დისკრიმინაციული პერსონალიზებული ფასების შეთავაზებას, ბაზარზე შესვლის ბარიერების შექმნას, ალტერნატიულ ბაზარზე გადასვლის მაღალ ხარჯებს და ა.შ.

## 2. კონკურენციის სამართლის გამოწვევები ციფრული ეკონომიკისათვის

ციფრული ეკონომიკის განვითარებამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ეკონომიკურ აგენტებს საკუთარი სერვისების თუ პროდუქციის განთავსებაში, ინტერნეტისა თუ სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით მომხმარებლებს გაუჩნდათ წვდომა მეტ ინფორმაციაზე და, შესაბამისად, უკეთესი არჩევანი, რათა მოახდინონ სხვადასხვა პროდუქციის ხარისხისა თუ ფასის შედარება. მიუხედავად მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტებისა, ინტერნეტის ეკონომიკამ, ასევე, შექმნა მნიშვნელოვანი პრობლემები კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკისათვის. მსგავსი რისკები მზარდია და ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევასთან მიმართებით ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუმცა კონცეპტუალურად შეიძლება დაიყოს „შინაარსობრივ“ და „სააღსრულებო“ გამოწვევებად.

თანამედროვე ტექნოლოგიების და ციფრული ეკონომიკის განვითარების ფონზე ჩამოყალიბდნენ ე.წ. დიდი ტექნოლოგიური კომპანიები (“Big Tech”). აგრეთვე, ხშირად გამოყოფენ

ე.წ.ამერიკულ სუპერფირმებს Facebook, Amazon, Apple, Netflix and Google, რომლებსაც ასევე აკორონიმით ‘FAANG’ მოიხსენიებენ<sup>2</sup>. აღნიშნული ორგანიზაციები უპრეცედენტო საბაზრო ძალაუფლებას, ფინანსურ, ტექნიკურ თუ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფლობენ და კონკურენციის სამართლისა და პოლიტიკისთვისაც უპრეცედენტო გამონწვევებს ქმნიან. ბუნებრივია, ამგვარად მძლავრი საბაზრო მდგომარეობის გათვალისწინებით, FAANG ეკონომიკური აგენტები კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი ორგანოების მხრიდანაც განსაკუთრებული ყურადღების, წნეხის და სანქციების ქვეშ არიან. მაგალითად, კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევისათვის ერთ-ერთ საქმეზე Apple-ს ევროკომისიის მიერ 1.8 მილიარდი ევროს ოდენობით ჯარიმა დაეკისრა<sup>3</sup>.

კონკურენციის კანონმდებლობის/პოლიტიკის მთავარი მიზანი სხვადასხვა ბაზრებზე ეფექტიანი კონკურენციის არსებობა და მომხმარებელთა კეთილდღეობის დაცვაა, რათა, მაგალითად, კომპანიების მხრიდან კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებებმა არ დააზარალოს საბოლოო მომხმარებელი. ციფრული ეკონომიკის პირობებში ზოგჯერ რთულდება კონკურენციის კანონმდებლობის მთავარი მიზნების მიღწევა. კერძოდ, ონლაინ პლატფორმების მხრიდან შესაძლოა განხორციელდეს კონკურენციის შეზღუდვა სერვისის/პროდუქტის მიმწოდებელი ფირმებისათვის, შეიქმნას ბაზარზე შექმნის ხელოვნური ბარიერები, მოხდეს ფასების ქვიანური ალგორითმების საშუალებით ფიქსაცია, საბოლოო მომხმარებლისთვის გაუარესდეს პროდუქციის/სერვისის ხარისხი, გაიზარდოს ღირებულება და ა.შ.

რაც შეეხება სააღსრულებო გამოწვევებს, აქ მოიაზრება უშუალოდ კონკურენციის სამართლის აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან, მათ ხელთ არსებული რესურსებისა და

2 Young, Ryan, and Wayne Crews. "The Case against Antitrust Law: Ten Areas Where Antitrust Policy Can Move on from the Smokestack Era" (April 17, 2019). Competitive Enterprise Institute, 2019. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=3458540>

3 გთხოვთ იხილეთ ევროკომისიის, 2024 წლის 4 მარტის პრეს-რელიზი, კომპანია apple-ის დაჯარიმებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია (შემოწმებულია 12/03/24) შემდეგ მისამართზე: [https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip\\_24\\_1161](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/ip_24_1161)



სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე, კონკურენციის სამართლის შეფარდების და ეფექტიანი აღსრულების სირთულე კონკრეტულად ციფრული ეკონომიკისათვის. ცალკეული ქმედებების შეფასების, კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების დადგენის და შესაბამისი ეკონომიკური აგენტების მიმართ სანქციების დაწესებისას, კონკურენციის აღმასრულებელი უწყებები მოქმედენ იმ საკანონმდებლო თუ თეორიული საფუძვლით, რაც კონკურენციის სამართლის და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბდა, თუმცა აღნიშნული შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი ციფრულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ შემთხვევებში. კერძოდ, შესაძლებელია გართულდეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, ან/და აღნიშნულ ბაზარზე შესაბამისი აგენტის საბაზრო ძალაუფლების დადგენა<sup>4</sup>, ტრადიციულმა ზიანის ეკონომიკურმა თეორიამ არ იმუშაოს ციფრულ ბაზრებთან მიმართებით<sup>5</sup>, ადგილი ჰქონდეს არაფასობრივ კონკურენციას (მაგალითად მონაცემებზე დაფუძნებულს), ან დაგვიანებული იყოს კონკურენციის კანონმდებლობის ex-post აღსრულება.

### 3. ციფრული ბაზრები და ქართული სამართლებრივი რეგულირება

საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის დაცვისა და აღსრულების სტანდარტებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომში „კანონი“) ადგენს.

სააგენტო კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებების გამოვლენას ოთხი ძირითადი მიმართულებით ახდენს: კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებები,<sup>6</sup> დომინანტური

მდგომარეობის ბოროტად გამოყენება,<sup>7</sup> არაკეთილსინდისიერი კონკურენცია<sup>8</sup> და სახელმწიფო/ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვა.<sup>9</sup>

ბოლო წლებში საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები კონკურენციის სამართლის პოლიტიკისა და აღსრულების მიმართულებით, სადაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონკურენციის კანონმდებლობაში 2020 წელს შესული ცვლილებები,<sup>10</sup> რის შედეგადაც გაიზარდა სააგენტოს უფლებამოსილებები, დაიხვეწა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაში მოვიდა რიგი დებულებები. თუმცა, კონკურენციის მარეგულირებელი დღევანდელი ქართული კანონმდებლობა არ მოიცავს დანაწესებს ელექტრონულ/ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის წესების დაცვის სტანდარტების შესახებ, რომელიც, ერთი მხრივ, სახელმძღვანელო უნდა იყოს კონკურენციის აღმასრულებელი ორგანოებისათვის<sup>11</sup>, მეორე მხრივ კი, შესაბამის ბაზარზე ოპერირებადი ყველა ეკონომიკური აგენტისათვის და რომელთა დარღვევის შემთხვევაში უნდა დაწესდეს შესაბამისი სანქცია.

### 4. ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის წესების აღსრულების ქართული პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციის კანონმდებლობა, მათ შორის, არც „კონკურენციის შესახებ“ კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებას ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის აღსრულების შესახებ, სააგენტოს უფლებამოსილება როგორც ტრადიციულ, ისე ონლა-

4 Graef, Inge. "Market Definition and Market Power in Data: The Case of Online Platforms" (September 8, 2015). World Competition: Law and Economics Review, Vol. 38, No. 4 (2015), pp. 473-506. Available at SSRN: <https://ssrn.com/abstract=2657732>

5 Zelger, Bernadette. "Restrictions of EU Competition Law in the Digital Age: The Meaning of 'Effects' in a Digital Economy." In Studies in European Economic Law and Regulation, Volume 25. Springer, 2023, Chapter.

6 «კონკურენციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

7 იქვე, მე-6 მუხლი.

8 იქვე, მე-11<sup>3</sup> მუხლი.

9 იქვე, მე-10 მუხლი.

10 საქართველოს 2020 წლის 16 სექტემბრის კანონი №7126.

11 კონკურენციის პოლიტიკის აღმასრულებელი ორგანო არ არის მხოლოდ კონკურენციის სააგენტო, არამედ, ამავდროულად სასამართლოც, კერძოდ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პირს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის თაობაზე სააგენტოსათვის მიმართვის გარეშე.

ინ ბაზრებზე კონკურენციის აღსრულების კუთხით თანაბრად ვრცელდება და მიუხედავად ციფრულ ბაზრებზე სპეციალური სამართლებრივი მოწესრიგების არარსებობისა, სააგენტო პრაქტიკაში ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის წესების დარღვევის ანდა ელექტრონული პლატფორმის მონაწილეების მიერ კონკურენციის შეზღუდვის შესაძლო ფაქტების მოკვლევას ზოგად რეგულაციაზე დაყრდნობით ახორციელებს, მათ შორის, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებების კუთხით.

#### 4.1. არაკეთილსინდისიერი კონკურენცია ონლაინ პლატფორმებზე

2016 და 2017 წლებში სააგენტოს დაარსების შემდეგ ერთ-ერთი პირველი მოკვლევები შეეხებოდა სწორედ ონლაინ პლატფორმაზე, კერძოდ, ონლაინ სოციალურ პლატფორმაზე განხორციელებული არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლო ფაქტებთან დაკავშირებულ საქმეებს. აღნიშნულ საქმეებს შორისაა ე.წ. „პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის საქმე“<sup>12</sup>, „აიტექნიკის“ საქმე<sup>13</sup>, ასევე „დიზაინ ჰაუსის“<sup>14</sup> საქმე.

კანონის მე-11<sup>3</sup> მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, ეს მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებსაც, რომელიც კანონში 2020 წლის 4

ნომბრიდან ამოქმედებული ცვლილებების შესაბამისად წარმოადგენს სამაგალითო (და არა ამომწურავ) ჩამონათვალს.

კანონის მე-11<sup>3</sup> მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად დაკვალიფიცირებისთვის საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა: ა) ქმედება უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქმიანი ეთიკის ნორმებს; ბ) ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს; გ) ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

სააგენტოს მიერ ონლაინ ბაზრებზე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფარგლებში განხილული ზემოხსენებული საქმეები შეეხებოდა ონლაინ სოციალურ ქსელში, კერძოდ facebook (Meta) პლატფორმაზე ეკონომიკური აგენტების მიერ განხორციელებულ ქმედებებს. Facebook-ის მიერ შემოთავაზებული ძირითადი სერვისი<sup>15</sup> არის მისი ონლაინ სოციალური ქსელის პლატფორმა<sup>16</sup>.

სოციალური მედია, ე.ი. სოციალური ქსელის პლატფორმები არის [W]eb-ზე დაფუძნებული სერვისები, რომლებიც საშუალებას აძლევს ინდივიდებს (1) შექმნან საჯარო ან ნახევრად საჯარო პროფილი შეზღუდული ფორუმის ფარგლებში, (2) ჩამოაყალიბონ სხვა მომხმარებლების სია, რომლებთანაც ისინი იზიარებენ კავშირს და (3) ნახონ და დაათვალიერონ ქსელში საკუთარი და სხვების მიერ დამყარებული კავშირების სია.<sup>17</sup>

თუ Facebook-ის შექმნის პირველადი მიზანი შემოიფარგლებოდა მომხმარებლების სხვა მომხმარებლებთან დაკავშირების მიზნით. შემდგომში გაჩნდა მეორე ასპექტიც, რომელიც ფეისბუკს კვლავ ორმხრივ ბაზრად აქცევს და ის აღარ არის პლატფორმა მხოლოდ კერძო მომხმარებელი კერძო მომხმარებლისთვის.

12 საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 14 სექტემბრის N152 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/7ff474e39c874d1a859636e3a7b004a1.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/7ff474e39c874d1a859636e3a7b004a1.pdf)

13 საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის 04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/558d09388bf64de78446e681f928dd62.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/558d09388bf64de78446e681f928dd62.pdf)

14 საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 მაისის N 04/132 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/338c58ca9dca4499953a4175a8d97584.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/338c58ca9dca4499953a4175a8d97584.pdf)

15 კონკურენციის არაერთმა ეროვნულმა უწყებამ ასევე დაადგინა, რომ Facebook-ს აქვს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალა ციფრულ სარეკლამო სერვისებთან და სოციალურ ქსელის სერვისებთან მიმართებაში. (Autorité de la concurrence, 2018[95]; Bundeskartellamt, 2018[96]; ACCC, 2019[93]; CMA, 2020[76]), იხ. OECD (2020), Competition in digital advertising markets, <http://www.oecd.org/daf/competition/competition-in-digital-advertising-markets-2020.pdf>

16 Case no. COMP/M.7217, Facebook/WhatsApp.  
17 danah m. boyd & Nicole B. Ellison, Social Network Sites: Definition, History, and Scholarship, 13 J. COMPUTER-MEDIATED COMM. 210,211 (2007).

ფეისბუქი ამჟამად გამოიყენება, როგორც საკონტაქტო პუნქტი კერძო მომხმარებლებსა და პროფესიონალებს შორის, რომლებიც აქვეყნებენ თავიანთ პროდუქტებისა და სერვისების რეკლამას.<sup>18</sup>

მაშინ როცა, ერთი მხრივ, მენარმე სუბიექტი/ეკონომიკური აგენტი ფეისბუქ პლატფორმას იყენებს, როგორც მომხმარებელთან და პოტენციურ მომხმარებელთან კონტაქტის, ინფორმაციის გაცვლისა და პირდაპირი კავშირის საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, საკუთარი პროდუქტისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის გავრცელების, რეკლამისა და მომხმარებლის მოზიდვის საშუალებად, ამავედროულად, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის ქცევა სოციალურ ქსელში შეიძლება დაექვემდებაროს კონკურენციის სამართლებრივ კონტროლს.

### „პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის საქმე“

ე.წ. „პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის საქმე“ სხვა გარემოებებთან ერთად შეეხებოდა ონლაინ სოციალური ქსელის მომსახურების ბაზარზე განხორციელებულ ქმედებებს, პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ხდებოდა მისი კონკურენტი – ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ლოგოს გამოყენება, როგორც მის სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციამდე, განსაკუთრებით კი რეგისტრაციის შემდეგ. კერძოდ, მოპასუხე მის კუთვნილ ოფიციალურ facebook გვერდზე ათავსებდა მომჩივანი ეკონომიკური აგენტის კუთვნილ სასაქონლო ნიშანს, რაც, სააგენტო პოზიციით, ყალბი ინფორმაციის/რეკლამის მიწოდების გზით მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნიდა, უფრო მეტიც, იწვევდა ამ ორი დაწესებულების ერთმანეთში აღრევას, რაც საბოლოო ჯამში, ქმედების არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტად კვალიფიკაციის საფუძველს იძლეოდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ირღვეოდა კანონის 11<sup>3</sup> მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომელიც კრძალავს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც მომხმარებელს

არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს.<sup>19</sup>

### „აიტექნიკის“ საქმე“

„აიტექნიკის“ საქმეში“ მომჩივანი შპს „აიტექნიკი“ კონკურენტ მოპასუხე კომპანია შპს „აიპლუსს“ ედავებოდა შპს „აიტექნიკის“ მფლობელობაში არსებული facebook გვერდის მასობრივი დარეპორტების შედეგად facebook ადმინისტრაციის მიერ მათი ოფიციალური გვერდის გაუქმებასა და მეორე მხრივ, სოციალურ ქსელ – facebook-ზე „iTechnics Georgia“ და „მატყუარა ITechnics“ ვეგვერდების შექმნასა და ადმინისტრირებას. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული ფეისბუქგვერდების უკან სწორედ შპს „აიპლუსის“ წარმომადგენლები იდგნენ და ისინი აქვეყნებდნენ შეცდომაში შემყვან და ზიანის მომტან ინფორმაციას შპს „აიტექნიკის“ სახელით.

სააგენტომ, მიუხედავად იმისა, რომ დაადგინა შპს „აიპლუსის“ მონაწილეობა შპს „აიტექნიკის“ საკუთრებაში არსებული გვერდის მიმართ ე.წ. „რეპორტების“ გაგზავნაში, მიუთითა, რომ გვერდის გაუქმება არ შედის „აიპლუსის“ კომპეტენციისა და შესაძლებლობის სფეროში, ვინაიდან აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს თავად ფეისბუქის ადმინისტრაცია, საკუთარი შიდა რეგულაციების შესაბამისად. გვერდის გაუქმების აქტი, სააგენტოს შეფასებით სოციალურ ქსელსა და მის მომხმარებელს შორის არსებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის შედეგია და უკავშირდებოდა კომპანია Apple-ის სახელითა და ლოგოთი არაავტორიზებულ სარგებლობას. შესაბამისად, ქმედება განხორციელებად ვერ შეერაცხება მოპასუხეს, რაც თავისთავად გამორიცხავს კანონდარღვევას.<sup>20</sup>

კიდევ ერთი სადავო გარემოება შეეხებოდა facebook Inc.-ის მიერ მომჩივანის სოციალური ქსელის გვერდის გაუქმების შემდეგ შპს „აიპლუსის“ მიერ საკუთარი ფეისბუქგვერდზე ე.წ. პოსტების გამოქვეყნებას, სადაც მითითებული იყო, რომ „აიპლუსმა“ საკუთარი თავზე აიღო გვერდის გაუქმება, რომ „აიპლუს-

18 Gebicka, Aleksandra; Heinemann, Andreas (2014). Social Media & Competition Law. World Competition, 37(2):155.

19 კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 14 სექტემბრის N152 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.47.

20 საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის 04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.58

სი“ არის Apple Inc.-ის მომავალი პარტნიორი, „აიპლუსმა“ კომპანია „ეფლის“ მხარდაჭერით დაიწყო „Fake Apple Store-ების, ანუ კომპანია Apple Inc.-ის ყალბი მაღაზიების გაუქმება საქართველოში, რის მიზეზადაც ასახელებდა ასეთი გვერდების მხრიდან Apple Inc.-ის წარმომადგენლობის სახელითა და Apple Store“ („ეფლის მაღაზია“) სახელით მანიპულირებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტომ მიიჩნია, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ იყო არასწორი, რეალობისაგან განსხვავებული, ხოლო ტერმინ „Fake Apple Store“ გამოყენება, განსაკუთრებით კი სიტყვა „ყალბი“ ჯდებოდა კონსტიტუციით დაცულ გამოხატვის თავისუფლებაში და შესაძლოა, გამოყენებულ იყოს სავაჭრო ნიშნის არაავტორიზებული გამოყენების შემთხვევებშიც, რაც ამ შემთხვევაში შპს „აიტექნიკის“ მიმართ არ იყო ცრუ ინფორმაცია. შესაბამისად, სააგენტომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დასადგენად აუცილებელი კანონით დადგენილი საფუძვლები და სახეზე არ იყო კანონის მე-11<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევა (მე-11<sup>3</sup> მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).<sup>21</sup>

### „დიზაინ ჰაუსის“ საქმე

კიდევ ერთი მოკვლევა, რომელიც ციფრული სოციალური ქსელის მომსახურების სექტორს შეეხებოდა, 2018 წელს დასრულებული „დიზაინ ჰაუსის“ საქმეა,<sup>22</sup> სადაც შპს „დიზაინ ჰაუსი“ ასაჩივრებდა შპს „დნას“ და შპს „დიმპლექს ჯორჯიას“ ქმედებებს, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენცია.

საჩივარი შეეხებოდა მოპასუხე კომპანიების მიერ Facebook პოსტით ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც შპს „დიზაინ ჰაუსის“ უკანონო საქმიანობას, მისი საქმიანობის შეჩერებას და მის მიერ საგარანტიო მომსახურების განწვევის შეუძლებლობას შეეხებოდა.

სააგენტომ იმსჯელა, თუ რამდენად წარმოადგენდა Facebook გვერდზე განთავსებული პოსტის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია მომჩივანის რეპუტაციის შემლახავ მოცემუ-

ლობას. სააგენტოს განმარტებით, კომპანიის ან მისი პროდუქტის დისკრედიტაცია და რეპუტაციის შელახვა შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე გზით, მათ შორის, კომპანიის პროდუქციის შესახებ არამართებული და ნეგატიური ცნობების გავრცელებით, ან კომპანიის იმიჯის დაზიანებით. Facebook პოსტში არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება კომპანიის მიერ საქმიანობის შეჩერების, მისი უკანონო საქმიანობის ან გარანტიის გაუცემლობის საკითხებს, არ არის დადასტურებული და წარმოადგენს კონკურენტის რეპუტაციის შემლახველ ნეგატიურ ქმედებას. ამასთან, პოსტის ზოგადი ხასიათის გათვალისწინებით, ინფორმაცია მიემართება არა მხოლოდ კონკრეტულ პროდუქციას, არამედ, ზოგადად, კომპანიის საქმიანობას. ამდენად, ის იწვევს შპს „დიზაინ ჰაუსის“ საქმიანობაზე არასწორი შეხედულების შექმნას და მის დისკრედიტაციას – რაც, თავის მხრივ, წარმოადგენდა კანონის მე-11<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.<sup>23</sup>

## 4.2. კონკურენციის შემზღვეველი შეთანხმებები ონლაინ ბაზრებზე

კონკურენციის შემზღვეველ შეთანხმებებთან მიმართებით კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკა სამ საქმეს მოიცავს, რომელთაგანაც ორი დასრულებულია – ე.წ. Booking.com-ის საქმე<sup>24</sup> და „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმე“<sup>25</sup>. რაც შეეხება მესამეს, აღნიშნული შეეხება სააგენტოს მიერ 2024 წლის თებერვალში დაწყებულ საქმის მოკვლევას ელექტრონული კომერციის ბაზარზე.<sup>26</sup>

23 საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 მაისის N 04/132 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 21.

24 კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 9 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/bab070eafe7a4cfb824d4deaaa0d1b81.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/bab070eafe7a4cfb824d4deaaa0d1b81.pdf)

25 საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf)

26 გთხოვთ იხილოთ სააგენტოს ვებსაიტზე, 2024 წლის 20 თებერვალს გამოქვეყნებული ინფორმაცია, მოკვლევის დაწყების შესახებ. ხელმისაწვდომია

21 იქვე, გვ.62

22 საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 მაისის N 04/132 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/338c58ca9dca4499953a4175a8d97584.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/338c58ca9dca4499953a4175a8d97584.pdf)

## Booking.com-ის საქმე

2017 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებაში სააგენტომ იმსჯელა ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრი“-ს განცხადებაზე, რომელიც შეეხებოდა “Booking.com B.V.”-ის მიერ კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევას, კერძოდ, ე.წ. პარიტეტული (MFN) სახელშეკრულებო პირობების<sup>27</sup> გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ სააგენტომ განცხადება დაუშვებლად დატოვა, გადაწყვეტილება საინტერესოა რამდენიმე გარემოებით. სააგენტომ იმსჯელა შესაბამის ბაზართან დაკავშირებით და ასეთად მიიჩნია სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმების ბაზარი. შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებთან დაკავშირებით, სააგენტომ აღნიშნა, რომ იგი არ მოიცავს ჩვეულებრივ ტურისტულ სააგენტოებსა და ინტერნეტ სივრცის მიღმა არსებული („offline“) სასტუმროების დაჯავშნის სხვადასხვა საშუალებებს. გარდა ამისა, მეტასაძიებო სისტემები (Metasearch engine), რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენენ ონლაინ დაჯავშნის პლატფორმებთან (Online travel agencies/OTA), წარმოადგენენ ისეთ საძიებო სისტემებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სხვა საძიებო სისტემების მოძიება და იდენტიფიცირება. ამასთან, სააგენტომ განმარტა, რომ დაჯავშნის ონლაინ პლატფორმები ქმნიან ე.წ. ორმხრივ ბაზარს (two sided market).<sup>28</sup>

რაც შეეხება სადავო სახელშეკრულებო პირობას, “Most Favoured Nation” (MFN) ანუ იგივე “პარიტეტის პირობები” (Parity Clauses) სასტუმროს დაჯავშნის სექტორში წარმოადგენს სასტუმროებსა და დაჯავშნის ონლაინ პლატფორმებს (OTA) შორის არსებული ხელშეკრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. განასხვავებენ MFN პირობების ორ – „ვიწრო“ და „ფართო“ კატეგორიას.<sup>29</sup>

ხელშეკრულების ფართო MFN პირობა სასტუმროს ავალდებულებს მის კონტრაქტულ დაჯავშნის ონლაინ პლატფორმაზე უზრუნველყოს საუკეთესო ნომრის ხელმისაწვდომობა ყველაზე დაბალ ფასად. ეს კი გულისხმობს, რომ დაჯავშნის ამ ონლაინ პლატფორმაზე განთავსებული ფასი, საკუთარი მომსახურების გაყიდვის სხვა (როგორც online, ასევე offline) არხებთან შედარებით, უნდა იყოს დაბალი.

აღნიშნულისგან განსხვავებით, ხელშეკრულების ვიწრო MFN პირობის შემთხვევაში სასტუმროს განსაზღვრული აქვს ვალდებულება, რომ საკუთარ ვებგვერდზე არ შესთავაზოს მომხმარებელს შესაბამის პლატფორმაზე დაფიქსირებულ ფასთან შედარებით უფრო დაბალი ფასი. თუმცა, იგი არ ზღუდავს სასტუმროს მომხმარებელს – შესთავაზოს განსხვავებული ფასი სხვა პლატფორმისა თუ online ან offline არხების მეშვეობით.<sup>30</sup>

განცხადების დასაშვებობის ეტაპზე კონკურენციის სააგენტომ შეისწავლა Booking.com B.V.-ის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ სასტუმროებთან დადებული ხელშეკრულებების საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობასთან თავსებადობის საკითხი. წარმოდგენილი განცხადების დასაშვებობის ეტაპზე Booking.com B.V.-მ გამოთქვა მზადყოფნა, ევროკავშირში დაწესებული სახელშეკრულებო პირობები გაევრცელებინა საქართველოს ტერიტორიაზეც, რაც გულისხმობს ვიწრო MFN პირობების გამოყენე-

(შემოწმებულია: 12/03/24) შემდეგ მისამართზე: [https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news\\_id=1455](https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1455)

27 MFN პირობის არსი დაწვრილებით განხილულია წინამდებარე დოკუმენტის მე-2 თავში.

28 იხ. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმების ბაზრის მონიტორინგის ანგარიში, 2019, გვ.4-5 [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/ba93e69448d1440f806dd21c5a19edd9.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/ba93e69448d1440f806dd21c5a19edd9.pdf)

29 ამასთან დაკავშირებით, იხ: COMP/2020/OP/0002 – Market Study on the Distribution of Hotel Accommodation

in the EU, ხელმისაწვდომია: [https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2023-01/kd0722783enn\\_hotel\\_accomodation\\_market\\_study.pdf](https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2023-01/kd0722783enn_hotel_accomodation_market_study.pdf)

30 იხ. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 9 იანვრის N5 ბრუნებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ. 13.

ბას.<sup>31,32</sup> საბოლოოდ, სააგენტომ განცხადება არ ცნო დასაშვებად, თუმცა 2017 წლიდან დაიწყო აღნიშნული ბაზრის მონიტორინგი და 2019 წელს დაასრულა.<sup>33</sup>

### „კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის საქმე“

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ 2023 წლის მიწურულს გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს ტერიტორიაზე კინოთეატრების ბილეთების საცალო ელექტრონული/ონლაინ რეალიზაციის ბაზარს.

მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი შპს „ელ.ბილეთები“ მიერ მითითებული სადავო ქმედება ჩადენილი იყო არა უშუალოდ ონლაინ ბაზარზე, უშუალო გავლენა სწორედ კინოთეატრის ბილეთების ონლაინ/ელექტრონულ

რეალიზაციის ბაზარს შეეხებოდა.

უფრო კონკრეტულად, მომჩივანი შპს „ელ.ბილეთები“ (biletbi.ge) სხვა გარემოებებთან ერთად აპელირებდა „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლისა (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და მე-7 მუხლის (კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება) დარღვევაზე, ხოლო დავის საგნად მიუთითებდა შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთს“ შორის 2022 წელს გაფორმებულ კინოთეატრის ბილეთების „ექსკლუზიური მიწოდების“ დებულების შემცველ ხელშეკრულებას, რის შედეგადაც კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე წვდომა შეიზღუდა.

მოკვლევის შედეგად დადასტურდა „სადისტრიბუციო კომპანიის“ განსაკუთრებული როლი ბაზრის სტრუქტურაში, რამეთუ იგი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ფილმების ერთადერთ შემომტან კომპანიას, ხოლო ამასთან ერთად, იგი წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ძირითადი კინოთეატრების („კავია სითი მოლი საბუთალო“, „კავია თბილისი მოლი“, „კავია ისტ ფონთი“, „კავია გალერია“, „ამირანი“, „აპოლო“, ერთად „კავი ჯგუფი“) კინოსეანსებზე დასწრების ბილეთების რეალიზაციისა და დისტრიბუციის განმახორციელებელ ერთადერთ უფლებამოსილ სუბიექტს.<sup>34</sup>

მომჩივანი კომპანია შპს „ელ.ბილეთები“ და ერთ-ერთი მოპასუხე მხარე შპს „თინეთი“ ოპერირებენ ელექტრონული კომერციის სფეროში საკუთარი ონლაინ პლატფორმების მეშვეობით, ამ შემთხვევაში, შპს „ელ.ბილეთები“ – biletbi.ge-ს, ხოლო შპს „თინეთი“ – tkt.ge-ის მეშვეობით და წარმოადგენენ კონკურენტ ეკონომიკურ აგენტებს საქართველოს ტერიტორიაზე ორგანიზებული სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებზე დასაწრების ბილეთების რეალიზაციის სფეროში.

აღნიშნული საქმე სააგენტოს პრაქტიკაში გამორჩეული იყო რამდენიმე ასპექტით. პირველ რიგში იმით, რომ მოკვლევის საწყის ეტაპზე გამოვლენილი გარემოებებიდან გა-

31 აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან, ევროკავშირის კონკურენციის რამდენიმე ეროვნულმა ორგანომ (NCA) გამოიკვლია პარიტეტული დებულებები OTA-ებს (კერძოდ Booking.com, Expedia და HRS) და სასტუმროებს შორის შეთანხმებებში. თუმცა, კონკურენციის ეროვნული ორგანოების, ეროვნული სასამართლოებისა და კანონმდებლების ჩარევის მანერა ამ პუნქტების წინააღმდეგ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და გამოიწვია გარკვეული იურიდიული ბუნდოვანება ბიზნეს სექტორისათვის ევროკავშირის მასშტაბით. 2015 წელს, საფრანგეთის, იტალიისა და შვედეთის კონკურენციის ორგანოებმა მიიღეს Booking.com-ის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები (Commitments), შეეცვალათ ფართო პარიტეტული დებულებები ვიწრო პარიტეტული დებულებით ამ ქვეყნებში მოქმედი სასტუმროებთან დადებულ ხელშეკრულებებში. თუმცა, გერმანიის კონკურენციის უწყების მიერ 2013 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით HRS-ის წინააღმდეგ და 2015 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებით Booking.com-ის წინააღმდეგ აიკრძალა ყველა პარიტეტული პუნქტის (ფართო და ვიწრო) გამოყენება ამ ორი პლატფორმის მიერ, რადგან მიიჩნია, რომ Booking.com-ის ვიწრო პარიტეტული პუნქტებიც შეზღუდავდა კონკურენციას. იხ: French Competition Authority, Decision 15-D-06 dated 21 April 2015; Italian Competition Authority, Decision dated 21 April 2015; and Swedish Competition Authority Decision 596/2013 dated 15 April 2015. 41 German Competition Authority, Decision B 9 – 66/10 dated 20 December 2013 and Decision B 9 – 121/13 dated 22 December 2015

32 სააგენტოს 2017 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება ა(ა)იპ „კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის“ 2016 წლის 15 ნოემბრის N01/1090 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ, გვ.25

33 იხ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმების ბაზრის მონიტორინგის ანგარიში, 2019,

34 საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.55, ხელმისაწვდომია: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpdai1UR.pdf)

მომდინარე, 2017 წლის<sup>35</sup> შემდეგ პირველად, სააგენტომ მიმართა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ე.წ. დროებითი ღონისძიებების მექანიზმს (interim measures),<sup>36</sup> ვინაიდან მიიჩნია, რომ სახეზე იყო კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვის აშკარა მტკიცებულებები.<sup>37</sup> კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII<sup>20</sup> თავის შესაბამისად, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტომ მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთს“ შორის დადებული ხელშეკრულების „ექსკლუზივის პირობის“ შემცველი მუხლის და ამ ექსკლუზივთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების მოქმედების შეჩერება სააგენტოს მიერ მოკვლევის დასრულებამდე, რაც სააპელაციო სასამართლოს ბრძანებით დაკმაყოფილებულ იქნა. აღსანიშნავია, რომ ე.წ. დროებითი ღონისძიების სუსპენზიურ ეფექტს თავისი შედეგი მოჰყვა აღნიშნულ საქმეში, როცა სადავო „ექსკლუზიური“ სახელშეკრულებო დებულების სასამართლო ბრძანებით შეჩერების შემდგომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ აღუდგინა ბილეთების მიწოდება შპს „ელ.ბილეთებს“,

35 სააგენტომ „დროებითი ღონისძიების“ მექანიზმი პირველად გამოიყენა სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის N04/91 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში, ე.წ. „ფოთის პორტის საქმე“, იხ: [https://gcca.gov.ge/uploads\\_script/decisions/tmp/def47d73b32b4cf0a9538ce94add593.pdf](https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/def47d73b32b4cf0a9538ce94add593.pdf)

36 უმეტეს იურისდიქციაში, დროებითი ღონისძიების გამოყენების პირველი პირობა არის დარღვევის ალბათობის დადგენის აუცილებლობა (fumus boni iuris), იხ. OECD (2022), Interim Measures in Antitrust Investigations, OECD Competition Policy Roundtable Background Note, [www.oecd.org/daf/competition/interim-measures-in-antitrust-investigations2022.pdf](http://www.oecd.org/daf/competition/interim-measures-in-antitrust-investigations2022.pdf)

37 დროებითი ღონისძიების შეფარდების უფლებამოსილება ევროკომისიამ ჯერ სასამართლო გადაწყვეტილებით მიიღო, Case 792/79 R., Camera Care, პარ.14, ხოლო შემდგომ – 1/2003 რეგულაციით. აღნიშნული რეგულაციის 8 (1) მუხლის მიხედვით, „გადაუდებელ შემთხვევაში“, რომელიც განპირობებულია კონკურენციისთვის სერიოზული და გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხით, კომისიას შეუძლია საკუთარი ინიციატივით გამოსცეს გადაწყვეტილება შუალედური ზომების შესახებ, თუკი დარღვევა Prima facie სახეზე. იხ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, გვ.17-19

გააფორმა მასთან ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ამ უკანასკნელმა შეძლო დაბრუნებულიყო შესაბამის ბაზარზე.<sup>38</sup>

გარდა ამისა, მოკვლევის პროცესში სააგენტომ გამოავლინა, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და საქართველოში მოქმედი ძირითადი კინოთეატრები (ე.წ. „კავია ჯგუფის“ კინოთეატრები) წარმოადგენენ ერთიან არაფორმალურ ჰოლდინგს, შესაბამისად, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და „კავია ჯგუფის“ კინოთეატრები მიჩნეულ იქნენ ერთიან ეკონომიკურ სუბიექტად.<sup>39</sup>

სააგენტოს მოკვლევის მიხედვით, 2016 წლიდან სადავო ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმებამდე კინოთეატრის ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზარზე არაერთი ეკონომიკური აგენტი ოპერირებდა, მათ შორის, მომჩივანიც, ხოლო „ექსკლუზიური მიწოდების“ ხელშეკრულების შემდგომ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე ოპერირებდა შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ საკუთარი არხების – kinoafisha.ge, cavea.ge, ონლაინ აპლიკაცია – Cavea cinemas და კინოთეატრის სალაროების მეშვეობით და მის მიერვე შერჩეული პლატფორმა – tkt.ge (შპს „თინეთი“) – ექსკლუზიურად.<sup>40</sup>

სააგენტომ მიიჩნია, რომ შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ წარმოადგენდა შპს „ელ.ბილეთების“ და სხვა, მსგავს სიტუაციაში მყოფი ეკონომიკური აგენტისათვის უალტერნატივო კონტრაქტენტს და შესაბამისად „აუცილებელ სავაჭრო პარტნიორს.“ შესაბამისად, მის მიერ მომსახურების განწევა ანუ ბილეთების მიწოდება წარმოადგენდა ბაზარზე შესვლის აუცილებელ წინაპირობას, ხოლო აღნიშნული მომსახურების განწევაზე უარი მომჩივანი ეკონომიკური აგენტისათვის ქმნიდა ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე შესვლის გადაულახავ ბარიერს.<sup>41</sup>

რაც შეეხება ქმედების კვალიფიკაციას, სააგენტომ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილა სადავო ხელშეკრულების წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების ეტაპზე, სადაც, როგორც გამოიკვეთა, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ პარალელურად აწარმოებდა

38 იქვე  
39 იქვე, გვ.16, 68-69  
40 იქვე, გვ.150  
41 იქვე, გვ. 57, 116

მოლაპარაკებებს, როგორც მომჩივან შპს „ელ. ბილეთებთან“, ასევე, მოპასუხე შპს „თინეთთან“. შესაბამისად, ეს უკანასკნელი „ექსკლუზიური ხელშეკრულების“ მოპოვების მიზნით აქტიურად ახორციელებდნენ სხვადასხვა ქმედებებს.<sup>42</sup>

სააგენტოს პოზიციით, შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთს“ შორის, ისევე როგორც შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „ელ.ბილეთებს“ შორის გამოვლენილი შეთანხმება შეიცავდა მიზნით დეტერმინირებულ ქმედებას, რაც per se („თავისთავად“) წარმოადგენს კანონის საწინააღმდეგო ქმედებას და მისი სიმძიმის შეფასებისას არ არის საჭირო დამატებით შეთანხმებით გამოწვეული შედეგების გამოკვლევა.<sup>43</sup> სააგენტომ მიუთითა, რომ კინოთეატრის ბილეთების რეალიზაციის ბაზარზე მოქმედი კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტების განდევნისა და არდაშვების, ბაზრის ჩაკეტვის თაობაზე ნებათა თანხვედრა წარმოადგენდა შეთანხმებას, რომელსაც, საბოლოო ჯამში, მიზნად ჰქონდა ბაზრის შეზღუდვა და რაც წარმოადგენს კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას.<sup>44</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დროს აღარ არის საჭირო კონკურენციის შემზღუდველი შედეგის შეფასება და მტკიცება, ვინაიდან, საბოლოოდ, ექსკლუზიური ვერტიკალური კოორდინაცია შესაბამისი წერილობითი სახით შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და შპს „თინეთს“ შორის გაფორმდა, სააგენტომ დამატებით იმსჯელა, ასევე, ექსკლუზიური ვერტიკალური დათქმის კონკურენციის შემზღუდველი ეფექტზე, რა დროსაც სააგენტომ გამოიყენა და იხელმძღვანელა შემდეგი კრიტერიუმებით: „ექსკლუზიური მიწოდების მასშტაბი და ხანგრძლივობა“, მიმწოდებლის დამაბალანსებელი საბაზრო ძალაუფლება, ვაჭრობის დონე და პროდუქტის/მომსახურების ბუნება, მიწოდების/მიმწოდებლის დონეზე შესვლის ბარიერების არსებობა. გარდა ამისა, სააგენტომ, რელევანტურად მიიჩნია და განიხილა სადავო ხელშეკრულების „ექსკლუზიური მიწოდების“ შინაარსი, საგანი და „ექსკლუზიური მიწოდების“ დათქმის მოქმე-

დების ფაქტობრივი შედეგი.<sup>45</sup>

საბოლოო ჯამში, სააგენტომ დაადგინა კანონის მე-7 მუხლის დარღვევა და ერთიან ეკონომიკურ სუბიექტს შპს „სადისტრიბუციო კომპანია“ და „კავია ჯგუფის“ კინოთეატრებს დაეკისრათ ჯარიმა 1 120 562 ლარის ოდენობით, შპს „თინეთს“ – 544 328 ლარის ოდენობით, ხოლო შპს „ელ.ბილეთებს“ დაეკისრა ჯარიმა 5 368 ლარის ოდენობით.

ხაზგასასმელია გარემოება, რომ სააგენტოს პრაქტიკაში ეს პირველი პრეცედენტი, როდესაც კონკურენციის კანონმდებლობის დამრღვევ მხარედ ცნობილ იქნა მომჩივანიც, რომელსაც დაეკისრა შესაბამისი სანქცია.

გარდა ამისა, მოკვლევის შედეგების განზოგადებისა და ბილეთების ონლაინ რეალიზაციის ბაზრის გაჯანსაღების მიზნით, სააგენტომ გასცა განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები კულტურული, გასართობი, შემოქმედებითი, სპორტული, დასვენებისა და ტურიზმის, საგანმანათლებლო, სატრანსპორტო თუ სხვა ტიპის ღონისძიებების/პროდუქციის/მომსახურების ბილეთების დისტრიბუტორების/ორგანიზატორების მიმართ, რათა ბილეთების რეალიზატორი ონლაინ პლატფორმის შერჩევის პროცესი და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმართვა განხორციელდეს იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს კონკურენციის დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

### „მასტერქარდის“ საქმე

უახლესი მოკვლევა, რომელიც ელექტრონული კომერციის ბაზარს შეეხება, კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ საკუთარი ინიციატივით 2024 წლის თებერვალში დაიწყო „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. საქმე შეეხება „მასტერქარდის“ ბარათის მფლობელებისთვის მხოლოდ შპს „თინეთის“ კუთვნილ ვებპორტალზე – [www.swoop.ge](http://www.swoop.ge) ექსკლუზიური ფასდაკლებების შეთავაზებას კონკრეტული პროდუქტების რეალიზაციისას.

უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდო დარღვევის შესახებ ინფორმაცია სააგენტოში კომპანია „რემენალ სოლუშენსის“ ([www.hot-sale.ge](http://www.hot-sale.ge)) მიერ იქნა მოწოდებული. მოგვი-

42 იქვე, 83:114-118

43 იქვე, 83:170.

44 იქვე, 115, 118.

45 იქვე, 83:118-151.



ნებით, კომპანიამ მის მიერ წარმოდგენილი საჩივარი უკან გაიხმო, თუმცა მასში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებებისა და თანდართული მტკიცებულებების საფუძველზე სავარაუდოდ დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით გონივრული ეჭვი წარმოიშვა. შესაბამისად, სააგენტომ საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის მოკვლევა.<sup>46</sup>

## დასკვნა

კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს გადაწყვეტილებების შესწავლამ აჩვენა, რომ ქართული კონკურენციის სამართლის შეფარდება და აღსრულება ციფრულ ეკონომიკასთან/ბაზრებთან მიმართებით ამ ეტაპამდე არც თუ ისე ხშირია და ძირითადი ნაწილი სოციალური პლატფორმების საშუალებით არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტებს შეეხება, თუმცა ციფრული ეკონომიკისათვის კონკურენციის სამართლის აღსრულების კუთხით პრობლემური არ არის, რადგანაც შესაბამისი აგენტების ქმედებები არ შეიცავდა რაიმე კომპლექსურ ან ტექნოლოგიურ სტრატეგიებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად.

ბის მოსაპოვებლად.

ასევე, ჩამოყალიბება დაიწყო პრაქტიკამ ელექტრონულ ბაზრებზე კონკურენციის შემზღვევლ შეთანხმებებთან მიმართებით. booking.com – ის საქმე მნიშვნელოვანია, რადგანაც მოხდა შესაბამისი ციფრული ბაზრის პროდუქციური საზღვრების დადგენა, მისი რეალური ბაზრისგან გამიჯვნა. რაც შეეხება ონლაინ ბილეთების გაყიდვის საქმეს, მნიშვნელოვანია, რომ სააგენტომ საბოლოო გადაწყვეტილებამდე გამოიყენა ე.წ. დროებითი მექანიზმი, რაც სააგენტოს მხრიდან საკმაოდ ეფექტური საშუალება გამოდგა ელექტრონულ ბაზარზე სწრაფი რეაგირებისა და წონასწორობის აღსადგენად, რამაც, საბოლოო ჯამში, პრაქტიკულად, ეკონომიკურ აგენტს ბილეთების რეალიზაციის ელექტრონულ ბაზარზე დაბრუნების საშუალება მისცა იქამდეც, სანამ სააგენტო მოკვლევის საფუძველზე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა.

საყურადღებოა ისიც, რომ სააგენტომ ცოტა ხნის წინ საკუთარი ინიციატივით დაიწყო მოკვლევა სწორედ ელექტრონული კომერციის სფეროში, რაც სააგენტოს პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა. შესაბამისად, აღნიშნულ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებაც მნიშვნელოვანი იქნება ციფრულ ბაზარებზე საქართველოს კონკურენციის სამართლის აღსრულების შემდგომი შესწავლის მიზნით.

46 საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო [https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news\\_id=1455](https://gcca.gov.ge/index.php?m=372&news_id=1455) (10.03.2024)

## ბიბლიოგრაფია

### საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები:

1. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014.
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი 6148-IX, 08/05/2012.
3. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 7126-IX, 16/09/2020
4. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბერის №37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“.
5. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესი და პროცედურა“.
6. Treaty on the Functioning of the European Union, 2008.

### სახელმძღვანელოები/სტატიები:

1. Bukht, Rumana, & Heeks, Richard. (2017, August 3). Defining, Conceptualising, and Measuring the Digital Economy. Development Informatics Working Paper.

2. Young, Ryan, and Wayne Crews. "The Case against Antitrust Law: Ten Areas Where Antitrust Policy Can Move on from the Smokestack Era" (April 17, 2019). Competitive Enterprise Institute, 2019.
3. Graef, Inge. "Market Definition and Market Power in Data: The Case of Online Platforms" (September 8, 2015). World Competition: Law and Economics Review, Vol. 38, No. 4 (2015).
4. Zelger, Bernadette. "Restrictions of EU Competition Law in the Digital Age: The Meaning of 'Effects' in a Digital Economy." In Studies in European Economic Law and Regulation, Volume 25. Springer, 2023.
5. danah m. boyd & Nicole B. Ellison, Social Network Sites: Definition, History, and Scholarship, 13 J. COMPUTER-MEDIATED COMM. 210,211 (2007).
6. Gebicka, Aleksandra; Heinemann, Andreas (2014). Social Media & Competition Law. World Competition, 37(2):155.

### **გადაწყვეტილებები:**

1. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 14 სექტემბრის N152 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
2. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 19 ივლისის 04/186 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
3. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 30 მაისის N 04/132 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
4. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 9 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
5. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
6. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 9 იანვრის N5 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
7. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 29 დეკემბრის N04/1031 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება.
8. სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის N04/91 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილება.
9. სააგენტოს 2017 წლის 09 იანვრის გადაწყვეტილება ა(ა)იპ "კონკურენციის სამართლისა და მომხმარებელთა დაცვის ცენტრის" 2016 წლის 15 ნოემბრის N01/1090 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.
10. საქართველოს კონკურენციის სააგენტოს სასტუმროების დაჯავშნის ონლაინ პლატფორმების ბაზრის მონიტორინგის ანგარიში, 2019.

### **უცხოური უწყებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. Case no. COMP/M.7217, Facebook/WhatsApp.
2. French Competition Authority, Decision 15-D-06 dated 21 April 2015; Italian Competition Authority, Decision dated 21 April 2015,;
3. Swedish Competition Authority Decision 596/2013 dated 15 April 2015.
4. German Competition Authority, Decision B 9 – 66/10 dated 20 December 2013 and Decision B 9 – 121/13 dated 22 December 2015.

### **სხვა უცხოური წყაროები:**

1. Commission Notice on the definition of the relevant market for the purposes of Union competition law (C/2024/1645).
2. COMP/2020/OP/0002 – Market Study on the Distribution of Hotel Accommodation in the EU.
3. OECD (2022), Interim Measures in Antitrust Investigations, OECD Competition Policy Roundtable Background Note.

### **სხვა წყაროები:**

1. გზამკვლევი დოკუმენტი სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესახებ, 2023.